ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

24 მაისი, ოთხშაბათი, 1989 წ.
№ 98 (10 017) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



დეპეშა მოსკოვიდან

# ვიდგები სიმართლის მხარეზე

ახლახან პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის სხდომაზე საქართველოს პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ ვ. შუბლაძემ პრეზიდიუმის წევრებს გააცნო თბილისში 9 აპრილის მომხდარ ტრაგედიასთან დაკავშირებული ფაქტები.

ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკავშირო საბჭოს პრეზიდიუმის წევრთა საერთო აზრით, თბილისში მომხდარი მოვლენები უეჭველად არის აქცია, რომელიც მიმართულია გარდაქმნის, დემოკრატიისა და საჯაროობის ინტერესების წინააღმდეგ.

მე, როგორც სახალხო დეპუტატი ქვეყნის ფიზკულტურულ-სპორტული საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან, ვგლოვობ ხალხთან ერთად, ვიზიარებ დაღუპულთა ახლობლებისა და მთელი ქართველი ხალხის მწუხარებას უდანაშაულოთა დაღვრილი სისხლის გამო და ჩემს მოქალაქეობრივ მოვალეობად ვთვლი, სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე მტკიცედ დავდგე სიმართლის მხარეზე გარდაქმნის ინტერესების დასაცავად.

**ბორის როგატინი,**
პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოთა კავშირის სახალხო დეპუტატი.

# მხარს ვუჭერთ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნას

**ძვირფასო რედაქცია,** დიდი ინტერესით ვეცნობით „ლელოს" ფურცლებზე საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის საკითხებზე გამოქვეყნებულ მასალებს. ისეთი მდიდარი სპორტული ტრადიციების ქვეყანამ, როგორიცაა საქართველო, ნამდვილად უნდა დაიკავოს თავისი ღირსეული ადგილი მსოფლიო სპორტულ მოძრაობაში. ვიწონებთ და მხარს ვუჭერთ სპორტში რესპუბლიკის სუვერენული უფლებების გაფართოების წინადადებას.

ჭიდაობაში უმაღლესი სპორტული დაოსტატების რესპუბლიკური სპეციალიზებული სკოლის თანამშრომლები: მ. სალაძე, გ. სალარაძე, თ. მიქელაძე, ო. დიდებულიძე, ს. ბახტაძე, თ. ჩხარტიშვილი, ტ. სხირტლაძე, დ. ოსეფაშვილი, ა. რამიშვილი, ვ. სახლთხუციშვილი, ი. ჩხარტიშვილი, ო. ბლიაძე, გ. ჩიტიაშვილი, დ. დავითაია, ჯ. მეგრელიშვილი, ლ. კაპიტონოვი, თ. კარიაული, გ. ალექსანიანი, ა. თავართქილაძე, ბ. ხელაშვილი, ნ. ხორგუაშვილი.

# 25-31 მაისს საქართველოში ტარდება სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების კვირეული





სპორტის ეროვნული სახეობები და ხალხური თამაშები ქართველი ხალხის მდიდარი ყოფითი მემკვიდრეობის შემადგენელი ნაწილია. როგორ ვუვლით და ვიცავთ ტრადიციებს? ეს მკაფიოდ გამოჩნდება 25-31 მაისის კვირეულში. ყველგან, სრულიად საქართველოში, მის ქალაქებსა და სოფლებში, მთასა და ბარში უნდა დავუბრუნდეთ სპორტის ეროვნულ სახეობებს და ხალხურ თამაშებს, ხელახლა ავაღორძინოთ ისინი.



## წოდების მინიჭება

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**საავტომობილო სპორტში** — თეიმურაზ აბრამოვს (თბილისი, დოსაafi), ვლადიმერ გოგიას (თბილისი, დოსაafi), ოთარ არჯევანიძეს (თბილისი, პროფკავშირები).

**რაგბიში** — ნუგზარ მგელაძეს (თბილისი, პროფკავშირები), გიორგი ღვინიაშვილს (თბილისი, პროფკავშირები), ალექსანდრე ისაკაძეს (ქუთაისი, პროფკავშირები), გიორგი ბაბუნაშვილს (ქუთაისი, პროფკავშირები), ზაზა ბაკურაძეს (თბილისი, პროფკავშირები), ალექსანდრე ხვედელიძეს (თბილისი, პროფკავშირები), ნურბი ხუაძეს (თბილისი, პროფკავშირები).



## საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე

დღეს თბილისში, ლენინური კომკავშირის სახელობის ცენტრალურ საწყლოსნო კომპლექსში (სტალინის სახელობის სანაპირო) იწყება წყალბურთელთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის პრიზზე.

მონაწილეობენ: აშშ-ის გფრ-ის, საბერძნეთის, უნგრეთის, ბულგარეთის, სსრ კავშირის (I და II ნაკრები) და საქართველოს გუნდები.

დასაწყისი 16 საათზე.

## მეორე ადგილი — ქართველ გოგონებს

**ქართველ** მოჭადრაკეთა საერთაშორისო კონტაქტები ფართოვდება. სასიამოვნოა, რომ ამ კონტაქტებში ნორჩებიც ერთვებიან. სწორედ მათთვის აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა უცხოელ თანატოლებთან შეხვედრას, სადაც ისინი არა მარტო ავლენენ საკუთარ შესაძლებლობებს, არამედ იძენენ საშეჯიბრო გამოცდილებას და იმაღლებენ ოსტატობას.

ახლახან თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს ბავშვთა და მოზარდთა საჭადრაკო სპორტული სკოლის გოგონათა გუნდმა მონაწილეობა მიიღო ბულგარეთის ქალაქ ხისარის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში. შეჯიბრება პირად-გუნდური იყო. პირად შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ 1977-78 წლებში დაბადებული გოგონები, გუნდურში კი 1973-76 წლებში დაბადებულნი.

ჩვენი გუნდი ფინალურ ეტაპზე დამარცხდა კიშინიოვის ნაკრებთან და მიუხედავად იმისა, რომ მათ თანაბარი ქულები ჰქონდათ, ქართველ გოგონებს მეორე ადგილი ხვდათ წილად. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში გამოდიოდნენ: ნატო ეძგვერაძე (24-ე საშუალო სკოლა VII კლასი), ნინო ღლონტი (24-ე საშ. სკოლა VIII კლასი), თამარ ფაჩულია (150-ე საშ. სკოლა, VII კლასი) და მაია თურქაძე (59-ე საშ. სკოლა, VIII კლასი).

პირად შეჯიბრებაში შესანიშნავად იასპარეზა თბილისის 174-ე საშუალო სკოლის V კლასის მოსწავლემ, ოსტატობის კანდიდატმა მაია ლომინეიშვილმა, რომელმაც 9 შესაძლებლიდან 8,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა.

ტურნირი მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მასპინძლებმა ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ გუნდებს თამაშისა და დასვენების საუკეთესო პირობები ჰქონოდათ, დავათვალიერეთ პლოვდივისა და ხისარის ღირსშესანიშნავი ადგილები და მდიდარი შთაბეჭდილებებით დავბრუნდით სამშობლოში.

მასპინძლებმა გამოთქვეს იმედი, რომ აღნიშნულ საერთაშორისო შეჯიბრებას ტრადიციულს გახდიან.

ჩვენ გადავწყვიტეთ მოვიწვიოთ მასპინძელთა გუნდი თბილისში.

**ჯ. ჯანაშია,**
საჭადრაკო სპორტული სკოლის დირექტორი.

ორიენტირი — საკავშირო ახალგაზრდული სპორტული თამაშები

# ყველაფერს პირველი თამაში გადაწყვეტს

**საქართველოს** ფრენბურთელ ქალთა და ვაჟთა გუნდებმა წლეულს კვლავ მოიპოვეს საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშის უფლება. ეს წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ისიც ცხადია, რომ მიღწეულს განმტკიცება უნდა. ჩვენი ფრენბურთის ხვალინდელი დღე ზევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ ცვლას მოვამზადებთ, როგორ ავამაღლებთ გოგონებისა და ჭაბუკების სპორტულ ოსტატობას, მით უმეტეს, რომ მათ წლეულს საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებზე მოუწევთ გამოსვლა.

გვესაუბრებიან გოგონათა და ვაჟთა ნაკრები გუნდების უფროსი მწვრთნელები ცისანა აბუაშვილი და ალექსანდრე იგნატიევი.

**● ივნისის დასაწყისში სტარტს აიღებს საკავშირო IV ახალგაზრდული თამაშები ფრენბურთში. გვითხარით, როგორ მოემზადეთ ამ პასუხსაგები შეჯიბრებებისთვის, ვინ გეყოლებათ მეტოქეებად და რისი იმედი შეიძლება ვიქონიოთ?**

**ც. აბუაშვილი:** გოგონათა გუნდში, რომელსაც შარშან აპრილში ჩავუდექი სათავეში, ძველი შემადგენლობიდან მხოლოდ ორი სპორტსმენი (ნ. მღებრიშვილი და მ. მაზიკინა) დარჩა, დანარჩენი მოთამაშეები 1970-71 წლებში დაბადებული ფრენბურთელები არიან. თავიდანვე ორი მიზანი დავისახეთ: ქვეყნის ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშის უფლების მოპოვება და საკავშირო IV ახალგაზრდული თამაშებისთვის მომზადება. პირველი ამოცანა, როგორც იცით, წარმატებით შევასრულეთ, რაც შეეხება მეორეს, აქ წარმატების მოპოვება გაგვიჭირდება — საკმაოდ ძლიერ ქვეჯგუფში მოვხვდით. კრამატორსკში (დონეცკის ოლქი) ჩვენთან ერთად იასპარეზებენ მოსკოვის, ლატვიისა და თურქმენეთის გუნდები. ამ უკანასკნელს პირველ ლიგაში გადასასვლელ ტურნირში სამჯერ შევხვდით და სამივეჯერ დავამარცხეთ. მათთან მოგება, ალბათ, არც საკავშირო თამაშებზე გაგვიჭირდება. მთავარ მეტოქეებად მოსკოვისა და ლატვიის გუნდები რჩება. არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მოსკოვილები არა მარტო ქვეჯგუფის, არამედ თამაშების ფავორიტები არიან. მათ შემადგენლობაში ხომ საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების ოთხი ძირითადი წევრი გამოდის. რაც შეეხება ლატვიელებს, მათგანაც ორი გოგონა საკავშირო ნაკრებშია, ჰოდა, სწორედ ბალტიისპირელებთან გვაქვს პირველი თამაში 3 ივნისს. ალბათ, ეს თამაში გადაწყვეტს ვინ მიიღებს ქვეჯგუფში მეორე საგზურს.

**ა. იგნატიევი:** წილისყრამ არც ჩვენ გაგვიმართლა — ქვეჯგუფში უკრაინის, ლენინგრადისა და ლატვიის ძლიერ კოლექტივებს შეგვახვედრა. დონეცკში უკრაინელი სპორტსმენები ჩემპიონობისთვის იბრძოლებენ. ეს არცაა გასაკვირი, რადგან უკრაინას სამი გუნდი ჰყავს უმაღლეს ლიგაში და, ამდენად, ძჭვეონელებს ძლიერი კოლექტივის შექმნა არ გაუჭირდებათ. ლენინგრადელთა გუნდში გამოვა საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების ორი წევრი, რომლებსაც უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილებაც აქვთ. პირველ თამაშს 3 ივნისს ნევისპირელებთან გავმართავთ. ძლიერი კოლექტივი ეყოლებათ ლატვიელებსაც. მათი გუნდიც ხომ უმაღლეს ლიგაში გამოდის. ესეც რომ არ იყოს, შარშან 1969-1970 წლებში დაბადებულ ფრენბურთელთა ევროპის ჩემპიონატზე საბჭოთა გუნდმა, რომლის შემადგენლობაში ოთხი ლატვიელი სპორტსმენიც გამოდიოდა, ოქროს მედლები მოიპოვა. აი, ასეთ მეტოქეებთან მოგვიწევს თამაში. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ისინი უმთავრესად 1969 წელს დაბადებული ფრენბურთელებით იქნებიან დაკომპლექტებული. ჩვენს გუნდში კი 12-დან ცხრა 1971 წელსაა დაბადებული. საქმე ის გახლავთ, რომ რესპუბლიკის ნაკრების 1969 წელს დაბადებული ძირითადი მოთამაშეები საბჭოთა არმიის რიგებში არიან გაწვეული. მიუხედავად ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობისადმი არაერთგზის თხოვნისა, საქართველოს ფრენბურთელები ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში დაფანტეს — ევროპის ჩემპიონი ალექსანდრე პროხოროვი მოსკოვშია, ირაკლი ჩაჩუა, ანდრეი მალახოვი და გენადი ვორდაძე — ბაქოში, გიორგი ცერცვაძე — ჯულფაში (აზერბაიჯანი). გამორიცხული არ არის, რომ ზემოაღნიშნულმა ფრენბურთელებმა ადგილობრივი კოლექტივების შემადგენლობაში ჩვენს წინააღმდეგ იასპარეზონ. მთავარი ძალების ამგვარი დაქსაქსვა რომ არა, დონეცკში პირველ ექვსეულში მოხვედრა შეგვეძლო. მართალია, ბიჭები არც ახლა კარგავენ რწმენას საუკეთესოში მოხვედრის იმედს, მაგრამ თუ სიტუაციას ობიექტურად შევხედავთ, რეალურად მე-13-16 ადგილებისთვის თამაში მიგვაჩნია, რადგან ყოველივე ზემოთქმულს თუ იმასაც დავუმატებთ, რომ ჩვენი გუნდი თამაშებზე ერთ-ერთი ტანდაბალი კოლექტივი იქნება... მისი საშუალო სიმაღლე 192 სანტიმეტრს არ აღემატება, მაშინ, როცა თუნდაც ლენინგრადელების კოლექტივი ორ მეტრზე მეტია.

**● თამაშებისთვის მზადების პერიოდში როგორი პირობები გქონდათ?**

**ც. აბუაშვილი:** გუნდი უმთავრესად თბილისში ვარჯიშობდა, რადგან ყოველ ოც დღეში პირველ ლიგაში გადასასვლელ თამაშებზე ვიწვევდა გამოსვლა. შეჯიბრება კრამატორსკის ღია მოედნებზე გაიმართება, ამიტომ ერთი თვეა დღეით ალმაშენებლის პროსპექტზე მდებარე ღია მოედანზე გადავინაცვლეთ. მოედანს ვამბობ, თორემ ყოველდღე ერთი სული მაქვს მეცადინეობის დამთავრებამდე, რომ ამ უხეირო სარბიელზე რომელიმე ფრენბურთელმა ტრავმა არ მიიღოს. რაც შეეხება თამაშებამდე დარჩენილ დროს, 24 მაისს ზაარბრიუკენში მივემგზავრებით ტურნირზე, იქიდან კი კრამატორსკში ჩავალთ და, როგორც ვთქვით, 3 ივნისს პირველ შეხვედრას გავმართავთ.

**ა. იგნატიევი:** თამაშებისთვის მზადების პროგრამით მონაწილეობა მივიღეთ მოსკოვში, როვნოში, გროდნოსა და ლენინგრადში გამართულ საკავშირო ტურნირებში. ერთ თვეზე მეტია ჩვენც ღია მოედნებზე ვვარჯიშობთ, მაგრამ აქ, ცაიანას თქვისა არ იყოს, ტრავმის მიღება უფრო ადვილია, ვიდრე ოსტატობის ამაღლება. თუმცა სხვა გზა მაინც არა გვაქვს, რადგან საქართველოში ერთ ხეირიან ღია მოედანს ვერ ნახავთ, დონეცკში თამაშების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე გავემგზავრებით, რადგან იქ ხისსაფარიან ღია მოედნებზე მოგვიწევს თამაში და ადაპტაციაა საჭირო.

**● ხომ ვერ დაგვისახელებთ იმ ფრენბურთელებს, ვისაც საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებზე რესპუბლიკის ღირსების დაცვა მოუწევს?**

**ც. აბუაშვილი:** კრამატორსკში ითამაშებენ: ანეტა თავართქილაძე, ნატალია რავა, ნატალია თურმანიძე, ნატალია პალნიკოვა, იზოლდა ცინცაძე, დარეჯან სინჯიკაშვილი, ლიუდმილა ტარანი, თამარ ლეტარია, ეთერ ფირცხალაიშვილი, ინგა ჩებანი, ინა ფიროვა, ნინო ომარელი.

**ა. იგნატიევი:** თამაშებზე 12 სპორტსმენი გაემგზავრება. ესენი არიან: დავით მესხი, დავით ლხინაძე, როსტომ პავლოვი, იგორ სამოილენკო, დავით ჯიოშვილი, სერგეი პერეპელიცა, გიორგი გელაშვილი, დანიელ ალეინიკოვი, დავით ტომარაძე, ალექსანდრ კაზაკოვი, ანდრო ლეჟავა, გარეგინ ტეროგანეზოვი.

საუბარი ჩაიწერა **ვაჟა დანელიამ.**

სპორტი 1918-1921 წლების საქართველოში

# ჩვენი ფეხბურთის სათავეებთან

**ქართული** ფეხბურთის ისტორიის შესწავლის საქმეში გარკვეული მნიშვნელობა ენიჭება XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ პრესაში დასტამბულ ინფორმაციებს. ამ მხრივ ჩვენთვის საინტერესოა 1917-1921 წლების მასალები, რადგანაც საკმაო ხანს აღნიშნული პერიოდის პრესა ხელმიუწვდომელი იყო მკვლევართათვის.

დღეს-დღეობით ძველ გაზეთებში შეგვხვდა რამდენიმე ცნობა ქართული ფეხბურთის თაობაზე. ასე, მაგალითად, ერთ-ერთ ცნობაში აღნიშნულია, რომ 1919 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის ზეიმზე, თბილისში ფეხბურთი უთამაშიათ ქართველებს და ინგლისელებს. სამწუხაროდ, მატჩი არ არის აღწერილი და არ ვიცით, თუ ვინ იყვნენ ეს ინგლისელები, პროფესიონალები თუ მოყვარულები.

სხვა ცნობით 1919 წელს თბილისში ოთხი საფეხბურთო გუნდი არსებულა. აღწერილია 1920 წელს ჩატარებული ერთ-ერთი მატჩიც. აღწერიდან ირკვევა, რომ იმ თამაშებს მეტად უხეში სახე ჰქონდა. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან მაშინ ჯერ კიდევ სრულყოფილად არ იყო დახვეწილი თამაშის წესები.

**საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაული დედაქალაქში**

**ბურთაობა**

**„წვიმა** სწორედ ნაშუადღევის ოთხის ნახევარზე მოდის და ჩქარა ისევ სწყდება, მაგრამ ხალხს მაინც არ აფრთხობს. ზღვა ხალხს ამით მაინც არა აკლდება რა და კიდევ დიდძალი ხალხი რჩება.

შევარდნები ამით სარგებლობენ და ბურთაობას ინგლისელები ეშხში შეჰყავს და მერე ისინიც იღებენ მონაწილეობას".

„სახალხო საქმე", 1919 წ., 28 მაისი (№536).

# „კვირას ნოემბრის 14 შეჯიბრების გამო

**გასული** წლის ფეხბურთის სეზონს საკმაოდ ჩამორჩა მიმდინარე წლის ფეხბურთის სეზონი: გასულ წელს ტფილისში არსებობდა ოთხი ფეხბურთელთა გუნდი: 1. ტფილისის ტან-სავარჯიშო საზოგადოების „შევარდენის" ფეხბურთელთა გუნდი „შევარდენი", 2. იუნკერთა ფეხბურთელთა გუნდი, 3. ფეხბურთელთა გუნდი „26 მაისი", 4. დიდუბის ფეხბურთელთა გუნდი „დიდუბე", რომელთა შორისაც ხდებოდა საინტერესო შეჯიბრებები. მათ შორის პირველობა ჰქონდა „შევარდენს".

მიმდინარე წელს კი არსებობს მხოლოდ ორი ფეხბურთელთა გუნდი: იუნკრების და „26 მაისი", „დიდუბე" კი დაიშალა და „შევარდენი" ჯერაც არ შეგროვილა. იუნკრების ფეხბურთელთა გუნდის და „26 მაისის" შორის უკვე მოხდა შეჯიბრება, გასულ თვის ბოლო რიცხვში, სამხედრო სასწავლებლის ეზოში (სადაც უმთავრესად ხდება ფეხბურთელთა შეჯიბრებები). შედეგი იყო იუნკრების სასარგებლოდ. შეჯიბრების შესახებ კი უნდა ითქვას, რომ ეს შეჯიბრება წააგავდა არა XIX და XX საუკუნეთა შეჯიბრებებს, არამედ, დიუპერონის მიერ, თავის წიგნში აღწერილ შეჯიბრებებს საშუალო საუკუნეებისას. ისეთივე დაჯახება, ფეხის გამოკვრა და სხვა, რაზედაც უნდა ითქვას ხსენებულ ფეხბურთელთა გუნდების კაპიტნების საყურადღებოდ, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს თავთავიანთ გუნდის ფეხბურთელების მიერ შეჯიბრების კანონების დაცვას.

კვირას, ნოემბრის 14 ამავე ეზოში გაიმართა შეჯიბრება „26 მაისის" და ტფილისის ნაკრებ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ნაკრებ გუნდში მონაწილეობას იღებდა „შევარდენის" თითქმის ყველა საუკეთესო ფეხბურთელები, მაინც წაგებული დარჩნენ: შედეგი იყო 2:1 „26 მაისის" სასარგებლოდ. ეს აიხსნება იმითი, რომ რაც გინდა კარგი მოთამაშე იყვეს, შეუვარჯიშებელი თავის ამხანაგებთან, იმდენ სარგებლობას ვერ მოუტანს თავის გუნდს, როგორც შევარჯიშებული, თუ გინდ ეს უკანასკნელი ბევრად უფრო სუსტი იყოს, ვინემ პირველი".

გაზ. „სახალხო საქმე", 1920 წ., 24 ნოემბერი (№ 986).

**დასასრულს,** არის კიდევ ერთი ცნობა, რომელიც გვაუწყებს, რომ მთავრობას განუზრახავს გრანდიოზული სტადიონის მოწყობა საბურთალოზე:

„დამფუძნებელი კრების ხელოვნების კომისიამ შეადგინა საბურთალოზე ეროვნულ დღესასწაულის სტადიონის მოწყობისათვის ხარჯთაღრიცხვა. სტადიონი ოლიმპიური სტილით უნდა მოეწყოს, რომელიც დაიტევს 140 ათას კაცზე მეტს. ხარჯთაღრიცხვის მიხედვით სტადიონის მოწყობას დასჭირდება 16 მილიონი მანეთი".

„სახალხო საქმე", 1920 წ., 12 თებერვალი.

პუბლიკაცია მოამზადა **სულიკო ნუცუბიძემ.**

წინადადება

# ინსტიტუტი ერისშვილის სახელმაც დაამშვენოს

**ასრულდა** მრავალი ქართველის ოცნება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ივანე ჯავახიშვილის სახელი მიენიჭა. თავისი პირვანდელი და ისტორიული სახელი დაუბრუნდა სენაკს, ოზურგეთს, ხონს, მარტვილს, ხარაგაულს, თბილისში გაჩნდა თამარის გამზირი — ჭეშმარიტად დიდმნიშვნელოვანი მოვლენებია. რაკი ამდენი სასიკეთო საქმე კეთდება, მინდა შემოვიდე წინადადებით, რომ საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტსაც მიენიჭოს ღირსეული მამულიშვილის სახელი. საქართველოს ნამდვილად შეუძლია თავისი სახელოვანი სპორტსმენებით იამაყოს, რომლებმაც მრავალგზის გამოიჩინეს თავი მსოფლიო ასპარეზზე (ბევრი მათგანი ფიზკულტურის ინსტიტუტის აღზრდილია). იმათ შორის კი, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული ეროვნული სპორტისა და ფიზკულტურული განათლების საქმეს, არის ორი თვალსაჩინო წარმომადგენელი გიორგი ეგნატაშვილი და გიორგი ნიკოლაძე.

ამონაწერი ქართული საბჭოთა ენციკლოპედიიდან: **„გიორგი ეგნატაშვილი** — ქართველი სპორტსმენი (ტანმოვარჯიშე), პედაგოგი, სსრკ სპორტის დამს. ოსტატი (1939), სსრკ დამს. მწვრთნელი... 1912 წელს ბ-ნი გიორგის ხელმძღვანელობით თბილისის „სოკოლის" ტანმოვარჯიშეთა გუნდმა საზ-ბა „სოკოლის" ტანმოვარჯიშეთა VI საიუბილეო შეკრებაზე პრაღაში დაბალ ჯგუფში I ადგილი დაიკავა, ხოლო თვითონ ბ-ნი გიორგი პირად შეჯიბრებაში III ადგილზე გავიდა, 1918-37 წწ. ეგნატაშვილი ხელმძღვანელობდა მოსწავლე ახალგაზრდობის ფიზაღზრდის თბილ. სკოლებსა და ტექნიკუმებში. შემდეგ განაგებდა ტანვარჯიშის კათედრას საქ. სსრ ფიზ. სახელმწ. ინ-ტში, 1941-დან მუშაობდა ფიზაღზრდის უფროს მასწავლებლად ჯერ თსუ-ში, შემდეგ საქ. პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. ბ-ნი გიორგი საზ. „შევარდენის" ერთ-ერთი დამაარსებელი (1918) და უფროსი იყო" (ტ. 4. გვ. 23).

**„გიორგი ნიკოლაძე** — 1908 წ. წარმატებით გამოვიდა ტანმოვარჯიშეთა შეხვედრაზე ბულგარეთში, 1912 პეტერბ. გუნდის შემადგენლობაში საზ-ბა „სოკოლის" VI შეკრებაზე პრაღაში, 1913 რუსეთის პირველობაზე, 1913 დააარსა სატანვარჯიშო საზ-ბა დონბასში, 1918 კი — I სატანვარჯიშო საზ-ბა თბილისში, 1928 28 აგვ. მოაწყო ალპინისტური ასვლა მყინვარწვერზე, რამაც დასაბამი მისცა ქართულ და საბჭოთა ალპინიზმს" (იგივე ენციკლოპედია. ტ. 7, გვ. 431).

დიდია გიორგი ნიკოლაძისა და გიორგი ეგნატაშვილის ღვაწლი ქართული სპორტის აღორძინების საქმეში. პატივცემულო რედაქცია, მოგმართავთ თხოვნით დამიჭიროთ მხარი, რათა დასვათ საკითხი, საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის ინსტიტუტს მიენიჭოს ქართული სპორტის ერთ-ერთი ფუძემდებლის სახელი.

**ლევან ნიკოლეიშვილი.**

თბილისი.

**რედაქციისაგან:** ეს საკითხი წარსულ წლებშიც წამოუწევია დღის წესრიგში ჩვენს გაზეთს, მაგრამ კონკრეტული ნაბიჯი არ გადაიდგა. თუ ვისი სახელი მიენიჭოს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტს, ეს ალბათ თვით ამ ინსტიტუტის სახელოვანი კოლექტივის გადასაწყვეტია. ვფიქრობთ, ამჯერად საქმე აღარ გაჭიანურდება.

# „ოლიმპიელები ჩვენს შორის"

**ახმეთი** დევიზით ჩატარდა ახმეტაში 1976-1978 წლებში დაბადებულ მოსწავლე ძიუდოისტთა რესპუბლიკური პირადი პირველობა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, თელავის, ყვარლის, სიღნაღის, ზესტაფონის და სხვა რაიონების ნაკრებმა გუნდებმა. სულ სარბიელზე 300 მოსწავლე ძიუდოისტი გამოვიდა, რომელთაგან ზოგიერთმა კარგი ფიზიკური და ტექნიკური მომზადება გამოავლინა. მათ შორის უნდა გამოვყოთ ქუთაისელი გ. იობიძე და მარნეულელი ზ. ბექანიშვილი.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები დაიკავეს: ზ. ჯომშიტაშვილმა (ახმეტა), ლ. კირვალიძემ (თელავი), ზ. ბექანიშვილმა (მარნეული), მ. ცხოვრებოვმა, თ. შათირიშვილმა (ორივე — ახმეტა), ვ. ჯიქირაულმა (დუშეთი), გ. ონიაშვილმა (ახმეტა), გ. იობიძემ (ქუთაისი), მ. ბიძინაშვილმა (თელავი), მ. მაისურაძემ (ყვარელი), ა. ყიფიანმა (თელავი).

**მერაბ ბროძელი,**
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

# აზრისა და ფიქრის ჭრთიანობა

ექო

21 მაისს თბილისის „დინამოს“ სტადიონზე გამართული საფეხბურთო მატჩის დროს მომხდარი ამბების ირგვლივ სხვადასხვა აზრი გამოითქვა, მაგრამ მთავარ საკითხში ყველა ერთსულოვანია — არ უნდა ავყვეთ ემოციებს, უნდა გავუფრთხილდეთ ეროვნულ თავმოყვარეობას. თბილისელი მ. გაბიჩვაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საბოდიშოდ არ უნდა გავიხადოთ საქმე სიმართლისა და სამართლიანობის მაძიებელმა ერმა.“

ახლა კი თბილისელ ფეხბურთის გულშემატკივართა სხვა მოსაზრებებსაც გაგაცნობთ:

**„მაყურებელთა ქცევა ტრიბუნაზე არა მარტო ერის კულტურას, არამედ პატრიოტობასაც გამოხატავს. ვინც 21 მაისს „დინამოს“ სტადიონზე „თავი გამოიჩინა“, ვფიქრობ, ეროვნული სამართლიანობის მოძრაობის ბორბალს ქვა დაუდო. ფრთხილად ვიყოთ, ვის წისქვილზე ვასხამთ წყალს?“ (ჯონი ბაზერაშვილი).**

„**ბუშინ** „ლელოში“ გამოქვეყნდა ოთარ გუბბერიძის წერილი სათაურით „რა გვინდოდა?“ ავტორს ბევრ რამეში ვეთანხმები. რაშიც არ ვეთანხმები (შეიძლება სხვებიც), იქვე რედაქციის კომენტარშია გაცემული პასუხი. ასე სჯობს, ხშირად უნდა გამოაქვეყნოთ განსხვავებული აზრები“ (გიორგი ქავყარაძე).

**„მინდა ჩვენს ფეხბურთის გულშემატკივრებს ვუთხრა: ნუ შევუქმნით პრობლემებს ჩვენს ეროვნულ მოძრაობას. დაუფიქრებელი მოქმედება, სადაც არ უნდა იყოს იგი დღეს საქართველოში, სულ სხვა ფონზე აღიქმება. გავუფრთხილდეთ ერთმანეთს. დინამოელ ფეხბურთელებს მინდა ვთხოვო: ყველაზე მეტი თავდაჭერა თქვენ გმართებთ, სპორტსმენები ხომ ნებისყოფით გამოირჩევიან. მჯერა ნებისყოფის სიმტკიცეს მოკეთეთა საყვედურების შემდეგაც შეინარჩუნებთ. გულოცავ ყველას და გისურვებთ კვლავაც ვაჟკაცურ თამაშს „სპარტაკთან“ 24 მაისის მატჩში“ (ვენერა დიასამიძე, ოთხი შვილის დედა).**

„**მე** ერთი სათხოვარი მაქვს: უნდა გავუფრთხილდეთ ჩვენი მილიციის ავტორიტეტს. 9 აპრილის შემდეგ ყველა ქართველს სირცხვილად უნდა მიაჩნდეს, ჩვენი მილიცია აიძულოს გამოიყენოს კანონით და სამსახურით მინიჭებული უფლება. ნუ შევქმნით კონფლიქტურ სიტუაციებს. ყველაფერს საზღვარი აქვს, ღმერთმა დაგვიფაროს, არ მინდა წარმოვიდგინო, რომ ჩვენ მილიციას ვინმე უნდობლად შეხედავს“. (ლ. იაძე).

**„მადლობა „დინამოს“ გუნდის ხელმძღვანელებს, იმ დღეს მათ ყველაფერი იღონეს და „დნეპრთან“ მატჩი არ ჩაიშალა“ (მამია კილაურიძე).**

**„რაც იმ დღეს გააკეთა მსაჯთა ბრიგადამ და სტუმარმა გუნდმა, ნამდვილი ვაჟკაცობაა. ასეთი სიტუაციის შემდეგ ყველა როდი გამოვიდოდა მოედანზე. ისინი გამოვიდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ რაც მოხდა, არ იყო მაყურებლის საერთო განწყობის გამოხატულება. ჭეშმარიტი გულშემატკივრები 24 მაისსაც თქვენს გვერდით ვიქნებით დინამოელებო“. (ნოდარ ნიორაძე).**

„**ვიცი**, რომ მომხდარი ამბის შესახებ, რასაკვირველია, იმსჯელებენ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციაში. ამიტომ ცინდოდა რამდენიმე სიტყვა მეთქვა გუნდისა და მისი ჭეშმარიტი გულშემატკივრების დასაცავად. ისინი, რაღა თქმა უნდა, არ არიან დამნაშავენი იმაში, რაც მოხდა. პირიქით, სწორედ მათ მიმართეს ყველა აუცილებელ ღონისძიებას სიტუაციის ნორმალიზებისათვის. მე გულწრფელად თანავუგრძნობ ყიფიანს.. სამწუხაროდ, მატჩის შემდეგ საჭირო გახდა მისი საავადმყოფოში გადაყვანა „სასწრაფო დახმარებით“. თამაში რომ დამთავრდა, ჩვენთან მოდიოდნენ ქართველი ფეხბურთის ვეტერანები, ბოდიშს იხდიდნენ მომხდარის გამო. მე კი სიამოვნებას მგვრიდა მათთან საუბარში იმის აღნიშვნა, რომ სტადიონმა მხარი არ აუბა უწესრიგობის მოთავეებს, მაყურებელთა უდიდესი უმრავლესობა სტადიონზე უაღრესად კორექტულად და კულტურულად იქცეოდა“. (ევგენი კუჩერევსკი — „დნეპრის“ მთავარი მწვრთნელი. გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“. 23 მაისი, 1989 წ.).

ევროპის ჩემპიონთა თასი

# დღეს ბარსელონაში

UEFA ევროპის საკლუბო ტურნირები

**დღეს** ჩვენს ტელემაყურებლებს, ფეხბურთის მოყვარულებს საშუალება ექნებათ თვალი ადევნონ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების ფინალურ მატჩს. ერთმანეთს ხვდებიან „მილანი“ (იტალია) და ბუქარესტის „სტიაუა“ (რუმინეთი). ეს გახლავთ ევროპის საკლუბო ტურნირების 1988-89 წლების გათამაშების უკანასკნელი და, ამავე დროს, კულმინაციური მატჩი, რომელიც ფეხბურთის სამყაროში უდიდეს ინტერესს იწვევს.

პოპულარული „მილანი“ („მილან ასოჩიაციონე კალჩიო“) დაარსებულია 1899 წელს, იტალიის ამ ქალაქში მცხოვრები ინგლისელების მიერ. ქვეყნის 11-გზის ჩემპიონი და თასის ოთხგზის მფლობელია, დიდი წარმატებები ჰქონდა საერთაშორისო ასპარეზზე, განსაკუთრებით 60-70-იან წლებში. 1963 და 1969 წლებში დაეუფლა ევროპის ჩემპიონთა თასს, 1969 წელს გაიმარჯვა საკონტინენტთაშორისო მატჩში, 1963 წელს კი ამ ასპარეზობის ფინალისტი იყო. 1968 და 1973 წლებში მოიპოვა ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასი, 1974 წელს გავიდა ამ შეჯიბრების ფინალში.

„მილანში“ ყველაზე დიდი წარმატებით მწვრთნელი ნერეო როკო მუშაობდა, წლების განმავლობაში აქ გამოდიოდნენ გამოჩენილი იტალიელი ფეხბურთელები რივერა, კოლოვატი, ბრაზილიელები ალტაფინი, ამარილდო, შვედები გრენი, ნორდალი, ლიდჰოლმი, ურუგვაელი შიაფინო, დასავლეთგერმანელი შნელინგერი და სხვები.

მაგრამ 1980 წელს „მილანი“ სამარცხვინოდ იქნა გაძევებული მეორე ლიგაში, ვინაიდან „გარიგებულ“ მატჩებში მონაწილეობა დაუმტკიცდა, თუმცა, მომდევნო წელს გუნდი გადახალისდა და პირველ ლიგას დაუბრუნდა. იტალიის ახლანდელ ჩემპიონატში „მილანი“ საკმაოდ არათანაბრად გამოდის, თუმცა წამყვან ჯგუფშია.

ჩემპიონთა თასის ახლანდელ ფინალამდე „მილანმა“ ძნელი გზა გაიარა, გათამაშებიდან გამოიყვანა სოფიის „ვიტოშა“ (ბულგარეთი) — 2:0, 5:2, ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია) — 1:0, 2:1, ბრემენის „ვერდერი“ (გფრ) — 0:0, 1:0 და მადრიდის „რეალი“ (ესპანეთი) 1:1, 5:0. გუნდს ამჟამად წვრთნის არიგო საკი.

თავისი უკანასკნელი მატჩი ჩემპიონთა თასზე „მილანმა“ ასეთი შემადგენლობით ჩაატარა: გ. გალი, ტასოტი, მალდინი, კოსტა კურტა, კოლომბო (ფ. გალი), ბარეზი, დონადონი, რაიკარდი, ანჩელოტი, გულიტი (ვირდისი), ვან ბასტენი. ამ მატჩში სერიოზულად დაშავდა გულიტი, მას მარჯვენა ფეხის მენისკის ოპერაცია გაუკეთეს, ფეხბურთელმა მხოლოდ აპრილის ბოლო რიცხვებისთვის განაახლა ვარჯიში. „მილანის“ ხელმძღვანელობამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ იგი აუცილებლად ითამაშებს დღევანდელ მატჩში.

ბუქარესტის „სტიაუა“ („კლუბულ სპორტივ ალ არმატეი სტიაუა ბუქურეშტი“), რაც „ვარსკვლავს“ ნიშნავს, არმიული კლუბია, დაარსდა 1946 წელს და 1964 წლამდე სხვადასხვა სახელი ერქვა. იგი რუმინეთის 13-გზის ჩემპიონია და ახლაც ლიდერობს გათამაშებას.

„სტიაუა“ საერთაშორისო ასპარეზზე დიდ ხანს ვერ აღწევდა წარმატებებს, მაგრამ 1986 წელს ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, როდესაც სევილიაში ჩემპიონთა თასის ფინალურ მატჩში 11-მეტრიანი დარტყმების სერიით (ძირითადი დროის ანგარიშში იყო 0:0) სძლია „ბარსელონას“. ამ მატჩის გმირი იყო „სტიაუას“ მეკარე ჰელმუტ დუკადემი, რომელმაც მოიგერია ყველა, ოთხივე პენალტი, რუმინელებმა კი ამასობაში ორი გამოიყენეს.

ახლანდელ გათამაშებაში რუმინეთის ჩემპიონმა დაამარცხა პრაღის „სპარტა“ (ჩეხოსლოვაკია) — 5:1, 2:2, მოსკოვის „სპარტაკი“ — 3:0, 2:1, „იფკ გეტებორგი“ (შვეცია) — 0:1, 5:1, სტამბოლის „გალათასარაი“ (თურქეთი) — 4:0, 1:1. ამ უკანასკნელ მატჩში რუმინელები ასეთი შემადგენლობით თამაშობდნენ: ლუნგი, პეტრესკუ, იოვანი, ბუმბესკუ, უნგრეანუ, როტარიუ (ნეგრია), სტოიკა (მინეა), ჰაჯი, დუმიტრესკუ, ბალინტი, პიტურკა, ორი გაფრთხილების გამო „სტიაუას“ აკლდა წამყვანი თავდამსხმელი ლიკატუში, რომელიც დღეს უნდა გამოვიდეს მინდორზე. რუმინელთა გუნდის მწვრთნელია იორდანესკუ.

**ზიზი თორელი.**

## მეტოქეთა სავიზიტო ბარათები

### „მილანი“ (იტალია)

მიმდინარე გათამაშება „მილანისთვის“ ოცდამეორეა. გაგაცნობთ გუნდის მონაცემებს 1955-89 წლების მანძილზე.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 137 | 70 | 32 | 35 | 251-141 |
| ჩემპიონთა თასზე | 54 | 31 | 10 | 13 | 133-64 |

იტალიის წლევანდელ პირველობაში გუნდი, როგორც ჩანს, ვერ შეინარჩუნებს ჩემპიონის ტიტულს, ასე რომ, მთავარ იმედებს იგი სწორედ ჩემპიონთა თასის გათამაშებაზე ამყარებს.

მწვრთნელი არიგო საჩი როგორც ქვეყნის ჩემპიონატში, ისე ევროპის ჩემპიონთა თასის მატჩებში, ძირითადად 13 ფეხბურთელს ათამაშებს. კარს იცავს გამოცდილი მეკარე ჯოვანი გალი, რომელსაც ნაკრებში თამაშის დიდი სტაჟი აქვს. დაცვაში ძირითადი დატვირთვა ოთხ ფეხბურთელზე მოდის. ესენია: ბარესი (31 მატჩი ნაკრებში), მალდინი (14), ტასოტი, რაიკარდი (35 მატჩი ჰოლანდიის ნაკრებში). მათგან გუნდის კაპიტანი ფრანკო ბარესი და მაურო ტასოტი წმინდა დაცვით ფუნქციებს ასრულებენ, ფრანკ რაიკარდი კი ხშირად ერთვება შეტევაში. ასეთ დროს მის ადგილს 20 წლის პაოლო მალდინი იკავებს. საინტერესოა, რომ მამამისი ჩეზარეც „მილანში“ თამაშობდა და 1963 წელს გუნდთან ერთად ევროპის ჩემპიონთა თასს ფლობდა. თადარიგში არიან ფ. გალი და კოსტაკურტა.

„მილანის“ წარმატებებს სპეციალისტთა დიდი ნაწილი ევროპის საუკეთესო ფეხბურთელთა ჰოლანდიურ ტრიოს უკავშირებს. ძნელია არ დაეთანხმო ამ აზრს. გუნდის განლაგებაში ნათლად ჩანს ღერძი რაიკარდი — გულიტი — ვან ბასტენი. ყოველ მათგანს შეუძლია თამაშის სადავეების ხელში აღება და ხშირად მატჩის ბედის გადაწყვეტაც. ასეთ ვითარებაში გარკვეულად ჩრდილში ექცევიან იტალიელები, რაც მთლად კანონზომიერი არ უნდა იყოს. გავიხსენოთ, რომ შარშან, როცა „მილანი“ ქვეყნის ჩემპიონი გახდა, გუნდში მხოლოდ გულიტი თამაშობდა. ვან ბასტენმა ტრავმების გამო თითქმის მთელი სეზონი გააცდინა, რაიკარდი კი ახალ სეზონში შეიძინეს. იტალიის ნაკრების მოთამაშეები დონადონი და ანჩელოტი ნებისმიერ გუნდს დაამშვენებენ, რაც დაადასტურა კიდეც მათმა შარშანდელმა გამოსვლებმა ევროპის პირველობაზე. ვეტერანი ბომბარდირი პაოლო ვირდისიც ანგარიშგასაწევი ძალაა. ახალგაზრდები ევანი, კოლომბო, მასარო, მართალია, ჯერ ვერ უწევენ კონკურენციას ლიდერებს, მაგრამ არც სტატისტთა როლს ასრულებენ.

### „სტიაუა“ (რუმინეთი)

„სტიაუა“ 1957 წლიდან ჩაება ევროპულ ტურნირებში. ეს მისი 21-ე სათასო გათამაშებაა.

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. |
|---|---|---|---|---|---|
| სულ | 73 | 28 | 17 | 28 | 101-97 |
| ჩემპიონთა თასზე | 39 | 17 | 8 | 14 | 61-46 |

1986 წლის მოდელიდან დღეს გუნდში დარჩა 6 მოთამაშე, იმ კოლექტივის კაპიტანი, 37 წლის იორდანესკუ ახლა „სტიაუას“ მწვრთნელია. მისი პროგნოზი საკმაოდ ოპტიმისტური გახლავთ. იორდანესკუს სიტყვებით ესპანეთი „სტიაუას“ ბედნიერად აქვს დაცდილი.

მიუხედავად იმისა, რომ სევილიის ფინალის გმირი, მეკარე დუკადამი, რომელმაც „ბარსელონასთან“ 4 თერთმეტმეტრიანი მოიგერია, დღეს აღარ თამაშობს, რუმინელებს არა აქვთ მეკარის პრობლემა. 33 წლის სილვიუ ლუნგი ეროვნული ნაკრების ძირითადი მეკარეა. იქვე თამაშობენ მცველები ბუმბესკუ და იოვანი, თავდამსხმელები ჰაჯი და ლეკატუში, გაფართოებულ სიაში შედიან როტარიუ (უნივერსალური ფეხბურთელი, რომელიც ერთნაირად ძლიერია ნახევარდაცვასა და დაცვაში) და უნგურეანუ. დიდი საერთაშორისო გამოცდილება აქვთ ვეტერანებს ტუდორელ სტოიკას და ვიქტორ პიცურკას. წლევანდელი სეზონი ბოლო იქნება მათთვის — მომდევნო წლიდან ორივენი საფრანგეთის „ლანში“ ითამაშებენ.

ერთი თვის წინ გუნდმა დაკარგა შემტევი ნახევარმცველი ბელოდედიჩი. იგი იუგოსლავიაში გაემგზავრა და აღარ დაბრუნდა. ახლა „სტიაუას“ ძირითად დამრტყმელ ძალას წარმოადგენს ტანდემი ჰაჯი-ლეკატუში. გეორგე ჰაჯი ჩინებული ბომბარდირია, ქვეყნის პირველობაში მან უკვე 24 გოლი გაიტანა. მასზე დიდი ხანია ნადირობენ იტალიის წამყვანი კლუბები. მარიუს ლეკატუში გამოირჩევა ბრწყინვალე დრიბლინგით, ამასთან საკმაოდ შედეგიანიცაა. ევროპის ჩემპიონთა თასის მიმდინარე გათამაშებაში იგი მარკო ვან ბასტენთან ერთად ლიდერობს (ორივეს 7-7 გოლი აქვთ გატანილი).

„სტიაუას“ სავარაუდო შემადგენლობა: ლუნგი, პეტრესკუ, უნგურეანუ, ბუმბესკუ, სტოიკა, იოვანი, ლეკატუში (დუმიტრესკუ), ბალანი, პიცურკა, ჰაჯი, როტარიუ.

მატჩს მოემსახურება არბიტრი კარლ ჰაინც ტრიტჩლერი (გფრ).

(საქ. ინფ.).



**ტალინში** გაიმართა საკავშირო ტურნირი მინიფეხბურთში 1976-77 წლებში დაბადებულ ნორჩთა შორის. შეჯიბრებაზე მიწვეული იყო თბილისის 35-ე სპეციალიზებული სკოლის გუნდი „სიხარული“, აგრეთვე კიევის „სმენა“, კიროვაკანის „ვახნაძორი“, ტალინის გუნდები „პარუსი“ და „სოკოლი“.

ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ყველა შეხვედრაში გაიმარჯვეს და ტურნირის გამარჯვებულის სახელი მოიპოვეს. ასპარეზობის საუკეთესო ნახევარმცველის პრიზი „სიხარულის“ მოთამაშეს დ. ჩალაძეს გადაეცა (გუნდი შეჯიბრებისათვის ა. კიკალიშვილმა მოამზადა).

**ს უ რ ა თ ზ ე: ტალინის ტურნირში გამარჯვებული 35-ე სკოლის გუნდი „სიხარული“.**

**შოთა ნოშრევანიძის ფოტო.**

# ჯილდოები თასის მფლობელს

**ქ. ნეაპოლის** „ნაპოლიმ“ ორ მატჩში სძლია გფრ-ის „შტუტგარტს“ და პირველად მოიპოვა ესოდენ საპატიო პრიზი.

კლუბის ხელმძღვანელობამ გულუხვად აღნიშნა ეს გამარჯვება, 16 მოთამაშეს პრემიის სახით მისცა 1,1 მილიონი დოლარი.

# დუბლიორთა მატჩი

**გუშინ** თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონზე შედგა უმაღლესი ლიგის დუბლიორ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების შეხვედრა თბილისის „დინამოსა“ და მოსკოვის „სპარტაკს“ შორის.

თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით — 3:1.

თბილისელთაგან ბურთი გაიტანა გ. ნემსაძემ.

დინამოელთა შემადგენლობა: ჭანტურია, თ. ყიფიანი (ხვადაგიანი), დიმიტრიშვილი, მაჭავარიანი, გელაძე, ჯამარაული, ნემსაძე (გუჯაბიძე), არველაძე, კერძევაძე, ლ. ყიფიანი, ყიზილაშვილი.

## მსოფლიო ჩემპიონატი

**ფეხბურთში** მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი შედგა ოსლოში, სადაც ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა მიიღეს კიპროსის ნაკრები (V ჯგუფი).

თამაში დამთავრდა ნორვეგიელთა გამარჯვებით — 3:1.

### გათამაშების ცხრილი

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| შოტლანდია | 5 | 4 | 1 | 0 | 10-5 | 9 |
| იუგოსლავია | 4 | 2 | 2 | 0 | 8-3 | 6 |
| ნორვეგია | 4 | 2 | 0 | 2 | 7-4 | 4 |
| საფრანგეთი | 5 | 1 | 2 | 2 | 4-6 | 4 |
| კიპროსი | 6 | 0 | 1 | 5 | 5-16 | 1 |

## „ოქროს მოხუცები“

**დიდი** ინტერესი გამოიწვია ირლანდიის სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტ დ. გინის განცხადებამ იმის თაობაზე, რომ ამ ქვეყანაში შეიქმნა „ოქროს მოხუცების“ საზოგადოება, სადაც გაერთიანდნენ ირლანდიის ვეტერანი ფეხბურთელები. „ოქროს მოხუცებს“ უწოდებენ მათ, ვინც 40 წელზე ხნიერია და ბოლო 20 წლის განმავლობაში გამოდიოდა ამ ქვეყნის ნაკრების შემადგენლობაში.

„ოქროს მოხუცები“ სისტემატურად მართავენ ამხანაგურ მატჩებს ირლანდიაში, ჩრდილოეთ ირლანდიაში, მეტად საინტერესო ტურნე ჰქონდათ ამერიკის აღმოსავლეთ სანაპიროს ქალაქებშიც. მათ სურთ კიდევ უფრო გაზარდონ თავიანთი სამოქმედო გეოგრაფია.

## სსრ კავშირის პირველობა კალათბურთში ● I ლიგა

**გუშინ** ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) გაიმართა I ლიგის კალათბურთელ ქალთა საკავშირო პირველობის თბილისის ტურნირის ორი მატჩი. სპი-მ დაამარცხა გორკის „შრომითი რეზერვები“ — 85:76 (52:47), სიმფეროპოლის „სპარტაკმა“ კი ფრუნზეს „სტროიტელს“ მოუგო — 68:56 (38:30).

### მსოფლიო თასის შესარჩევი საერთაშორისო ტურნირი ჭადრაკში

# იმედის დაკარგვა არ გვმართებს

**ჩვენ** უკვე ვისაუბრეთ („ლელოს“ გუშინდელ ნომერში) იმის შესახებ, თუ რა „მუხანათური“ როლის შესრულება შეუძლია შვეიცარიულ სისტემას საჭადრაკო ტურნირებში. რამდენი დიდი მოჭადრაკე გამხდარა ამ სისტემის „მსხვერპლი“. სამწუხაროდ, მოსკოვში მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა მსოფლიო თასის მეორე გათამაშების ერთ-ერთ შესარჩევ ეტაპზე მისი „სუსხი“ კიდევ ერთხელ ვიგრძენით. ამ ტურნირში პირველად მოეცარა ხელი დიდოსტატ ელიზბარ უბილავას და ექვსი ტურის შემდეგ იგი უკვე IX-XXIV ადგილებს იყოფს, მაშინ როცა ერთი ტურის წინ იგი I-IV ადგილებს ინაწილებდა. მართლაც მეტად არასასიამოვნო ფაქტია, მაგრამ ვიმედოვნებთ, რომ ჯერ კიდევ შეიძლება ბრძოლა და არას დიდებით არ ღირს ხელის ჩაქნევა. ყველაფერი ბოლო ამ ტურზეა დამოკიდებული და ეჭვი არ გვეპარება, რომ ქართველი დიდოსტატი ყველაფერს ილონებს, რათა 8 საუკეთესო მოჭადრაკეს შორის მოიპოვოს ადგილი. შეგახსენებთ, რომ ეს მოჭადრაკეები განაგრძობენ ბრძოლას მსოფლიო თასის მეორე გათამაშებაში მონაწილეობისთვის.

VI ტურში ე. უბილავა საერთაშორისო დიდოსტატ სერგეი დოლმატოვს ხვდებოდა. დოლმატოვი ტურიდან ტურამდე აუმჯობესებს თამაშს და დღეისთვის იგი 5 ქულით დამსახურებულად მოექცა ატურნირო ცხრილს სათავეში.

4-5-4,5 ქულა შვიდმა მონაწილემ მოაგროვა, ხოლო 4-4, როგორც უკვე ვთქვით, — თექვსმეტმა მოჭადრაკემ. მათ შორისაა უბილავაც.

ამ დღეს, ჩვენებიდან, მხოლოდ დიდოსტატმა ქეთევან არახამიამ და ოსტატმა მიხეილ იაილიანმა გაგვახარეს. როგორც გახსოვთ, არახამიას ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა ამ შეჯიბრებაში და მხოლოდ წინა, V ტურში მოეცარა ხელი. სასიამოვნოა, რომ ახალგაზრდა მოჭადრაკე ქალს მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა, წინა ტურის მარცხმა არ დააბნია, მწყობრიდან არ გამოიყვანა იგი და მომდევნო სათამაშო დღეს ყაიმის ყოველგვარი შანსი გადაუწურა ავსტრალიელ საერთაშორისო დიდოსტატს ი. როჯერსს.

რაც შეეხება მ. იაილიანს, მან შავი ფიგურებით კარგად წარმართა შეხვედრა საერთაშორისო ოსტატ ა. ფიშბეინთან (აშშ) და დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა.

სამწუხაროდ, როგორც ვთქვით, VI ტურში საქართველოს მოჭადრაკეებმა მხოლოდ ეს 2 ქულა მოიმკეს. ზურაბ აზმაიფარაშვილი ნიკოლაი რაშკოვსკისთან დამარცხდა, ხოლო გენადი ზაიჩიკი — ვლაიმერ კრამნიკთან.

მაია ჩიბურდანიძეს ტურნირის დატოვება მოუხდა. ჩვენი წინა რეპორტაჟებიდან იცით, რომ მსოფლიო ჩემპიონი რეიკიავიკს უნდა გამგზავრებულიყო ვაჟთა დიდ საჭადრაკო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად. და აი, დადგა ეს დღეც, მაია იძულებული გახდა მიეტოვებინა შეჯიბრება და გუშინ გაემგზავრა მოსკოვიდან. წარმატება ვუსურვოთ მას ამ ტურნირში...

მოსკოვის შესარჩევი შეჯიბრების დამთავრებამდე სამი ტურით ადრე ქეთევან არახამიას 3,5 ქულა აქვს, ზურაბ აზმაიფარაშვილს — 3, გენადი ზაიჩიკსა და მიხეილ იაილიანს — 2,5-2,5.

**დავით ჟელიძე,**
**ტელეფონით, „ლელოს“ სპეც. კორ.**
მოსკოვი.

### „სპორტპროგნოზი“

**21-ე ტირაჟის შედეგები**
**(20-21 მაისი)**

1—1, 2—2, 3—X, 4—1, 5—1, 6—2, 7—X, 8—1, 9—2, 10—1, 11—1, 12—1, 13—2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.



## 25 მაისს...

**თბილისის ბავშვთა კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ჩატარდება ბოლო მეოთხედფინალური შეხვედრა ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქების უბნების პირველობის პროგრამით. ამ დღეს ხალიჩაზე გამოვლენ წინამძღვრიანთკარისა (მცხეთის რაიონი) და ხანდაკის (კასპის რაიონი) გუნდები.**

**დასაწყისი 17.30 საათზე.**

შეჯიბრების შემდეგ ჩატარდება ნახევარფინალური წყვილების კენჭისყრა. ნახევარფინალები გაიმართება შაბათს, 27 მაისს.

## კალეიდოსკოპი

### მოთხილამურე სპრინტერები

სჭირდება თუ არა სამთომოთხილამურეს მორბენალი-სპრინტერის თვისებები? შვეიცარიელ და ავსტრიელ სპეციალისტებს მიაჩნიათ, რომ სამთო-მოთხილამურეებისთვის ასეთი თვისებები არა თუ საჭიროა, აუცილებელიც არის. უფრო მეტიც, აღნიშნულ ქვეყნებში მათთვის სპეციალური მძლეოსნური შეჯიბრებებიც ეწყობა.

ამას წინათ ავსტრიაში გაიმართა სამთომოთხილამურეთა შეჯიბრება სპრინტერულ დისტანციაზე რბენაში. 100 მეტრზე ყველას ლუქსემბურგელმა მარკ ჟირარდელიმ აჯობა, რომელმაც დისტანცია 10,95-ში დაფარა. ავსტრიელთა შორის ყველაზე სწრაფი გამოდგა ჰანს ენი—11,8. ეს შედეგი ოდნავ უკეთესია ლეგენდარული ფრანც კლამერის მიღწევაზე (11,9).

### მილერი — პუბლიცისტი

ამ თემაზე წერს შრომას ცნობილი დასავლეთგერმანელი მოცურავე მიჰაელ გროსი, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს ლიტერატურის მაგისტრი გახდეს. კვლევით სამუშაოს, ცხადია, დიდი დრო მიაქვს და გროსმა გადაწყვიტა მონაწილეობა არ მიიღოს ევროპის მომავალ ჩემპიონატში, რომელიც 12-20 აგვისტოს მის მშობლიურ ქალაქ ბონში გაიმართება. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გროსი სამუდამოდ ჩამოსცილდება სპორტს. მას განზრახული აქვს 1991 წლის მსოფლიო ჩემპიონატში გამოსვლა.

შეგახსენებთ, რომ მიჰაელ გროსს ოლიმპიური თამაშების მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების მედლების უმდიდრესი კოლექცია აქვს. ამ მხრივ ევროპის მოცურავეთა შორის მას ვერავინ შეედრება.

### სოკ-ის ახალი დირექტორი

1985 წლიდან საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (სოკ-ი) ადმინისტრაციას სათავეში ედგა რაიმონდ გაფნერი. იგი წარმოშობით შვეიცარიელია, დაიბადა 1938 წელს. გახლავთ სამართლის დოქტორი და ლოზანაში 20 წელია ადვოკატურ საქმიანობას ეწევა. სტუდენტობის დროს იგი ცურვით იყო გატაცებული, მონაწილეობდა შეჯიბრებებში. ბოლო ათი წლის მანძილზე მოღვაწეობდა სოკ-ში, როგორც იურიდიული მრჩეველი.

საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა — მის ნაცვლად დირექტორის პოსტზე მოიწვია ფრანსუა კორადი. იგი მუშაობას შეუდგება 1989 წლის 1 ოქტომბრიდან. მაგრამ გაფნერი ოლიმპიურ კომიტეტში გარკვეულ ფუნქციებს მაინც შეასრულებს. იგი იქნება ახალი ოლიმპიური მუზეუმის [illegible] თავმჯდომარე და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან კოორდინაციის საბჭოს ხელმძღვანელი.

### ოლიმპიადა არ არის ჯონსონის საქმე!

როგორც ვანკუვერიდან (კანადა) იუწყებიან, ამ ქვეყნის ოლიმპიური ასოციაციის პრეზიდენტის როჯერ ჯეკსონის განცხადებით სეულში დოპინგის მიღებისათვის დისკვალიფიცირებული მძლეოსანი ბენ ჯონსონი მონაწილეობას არ მიიღებს ბარსელონის ოლიმპიურ თამაშებში: „ჩვენ მკაცრად უნდა დავსაჯოთ სპორტსმენი ამ ყველაზე დიდი დანაშაულისათვის. ჯონსონს მორალური უფლება არა აქვს იყოს ოლიმპიადის მონაწილე“.

როგორც ცნობილია, საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ჯონსონს ჩამოართვა სეულში მოპოვებული ოქროს მედალი. მას აეკრძალა ორი წლით შეჯიბრებებში გამოსვლა. კანადის მთავრობამ თავის მხრივ უარი უთხრა სპორტსმენს ყოველგვარ ფინანსურ დახმარებაზე და კანადის სახელით შეჯიბრებებში გამოსვლის უფლება წაართვა.

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი ხუან ანტონიო სამარანჩი უფრო გულმოწყალე აღმოჩნდა. მან აღიარა, რომ ყოველმხრივ მხარს დაუჭერს ჯონსონს, თუ მისი ქვეყანა დანაშაულს აპატიებს.

### ძირითადი პროფესიის სიყვარულით

ცნობილმა ფინელმა მოთხილამურემ მარიო მატიკაინენმა განაცხადა, რომ სპორტს თავს ანებებს. მსოფლიო თასის სამგზის მფლობელს გადაწყვეტილი აქვს საფუძვლიანად დაეუფლოს თავის ძირითად პროფესიას და მაღალი კვალიფიკაციის სამთო ინჟინერი გახდეს.

როგორც ცნობილია, ყველაზე დიდ წარმატებას მარიომ მიაღწია მსოფლიოს 1989 წლის ჩემპიონატზე, რომელიც მის მშობლიურ ქალაქ ლახტში ჩატარდა. მატიკაინენმა მოიპოვა ხუთი მედალი, მათ შორის ორი ოქროსი 15 კილომეტრზე რბენასა და ესტაფეტაში.

**რედაქტორი**
**თ. გაჩეჩილაძე.**



**თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი**
**(ა. წერეთლის გამზირი № 2)**

**24 მაისი**

**ფეხბურთი**

**სსრ კავშირის ჩემპიონატი**
**„დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (მოსკოვი)**

**დასაწყისი 19 საათზე**

მატჩზე დასასწრები და ლატარიის ბილეთები გაიყიდება სტადიონის სალაროებში 24 მაისს 10-დან 19 საათამდე (შესვენება 14-დან 15 საათამდე).

საქართველოს სპორტსახკომი, პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების რესპუბლიკური საბჭო და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაგრძნობას უცხადებენ სპორტის დამსახურებულ ოსტატს ნონა გაფრინდაშვილს დედის

**ვერა თადას ასული გრიგოლია-გაფრინდაშვილის**

გარდაცვალების გამო.

**ველოსპორტის ამბები**

# მსოფლიო რეკორდები

**მოსკოვში** ოლიმპიურ ველოტრეკზე საკავშირო თასის გათამაშების დროს რამდენიმე მსოფლიო რეკორდი გაუმჯობესდა.

იუნიორთა გიტში 200 მეტრზე სვლით სიმფეროპოლელმა ვიაჩესლავ დოლგინოვმა აჩვენა 10,381. ძველი მიღწევა, რომელიც ომსკელ ოლეგ ლუჩიხინს ეკუთვნოდა 10,409-ს უდრიდა.

იუნიორთა მსოფლიო რეკორდი დაამყარა გიტში 1 კილომეტრზე სვლით მეორე სიმფეროპოლელმა კონსტანტინე სმურიგინმა — 59,958. და კიდევ ერთი უმაღლესი მიღწევა, რომელიც ამიერიდან ტაშკენტელ გოგონას ოქსანა ჩებოტარიოვას ეკუთვნის. 200 მ. სვლით მან 12,331-ში გაიარა.

საკავშირო თასი კი ინდივიდუალურ რბოლაში (3 კმ) ტულელმა ლიუდმილა კოტოვამ მოიგო. მეორე ადგილზე გავიდა კუიბიშეველი ნადეჟდა კიბარდინა, მესამეზე — ლვოველი იულია დიომინა.

# ველორბოლის საპრემიო ფონდი

„ტურ დე ფრანსის“ შემდეგ ყველაზე ავტორიტეტული და პრესტიჟული მრავალდღიანი ველორბოლა „ჯირო დ' იტალია“ გახლავთ. წლეულს ამ შეჯიბრებისადმი ინტერესი კიდევ უფრო გაძლიერა იმან, რომ მასში პირველად მონაწილეობენ საბჭოთა პროფესიონალი ველოსიპედისტები, რომლებიც გაერთიანებული არიან კლუბ „ალფა-ლიუმში“.

წლევანდელ „ჯირო დ' იტალიაში“ გამოდიან სხვადასხვა წლების „ტურ დე ფრანსში“ გამარჯვებული ველოსიპედისტები — ფრანგი ლორენიონი, ამერიკელი გრეგ ლემონდი და ირლანდიელი სტეფენ როჩი, შარშანდელი „ჯიროს“ ჩემპიონი ამერიკელი ენდრიუ ჰემპსტენი, მსოფლიოს ჩემპიონი, იტალიელი მაურიციო ფონდრიესტა და სხვა უძლიერესი ველოსიპედისტები.

წლევანდელმა რბოლამ სტარტი სიცილიაში აიღო, სამი კვირის შემდეგ 11 ივნისს კი ფინიშის ხაზს ფლორენციაში გადაკვეთავს. ველოსიპედისტებს გასავლელი აქვთ 22 ეტაპი (3709 კილომეტრი). ტრასა, ტრადიციულად, ერთობ რთულია და ხშირად ზღვის დონიდან 2 ათას მეტრზე უფრო მაღლაც არის გადებული. ამ სირთულეთა კომპენსაციას მოახდენს რბოლის საპრემიო ფონდი, რომელიც 750 ათასი დოლარით არის განსაზღვრული.

პირველი ეტაპი (123 კილომეტრი სიცილიის გზებზე) მოიგო ჰოლანდიელმა ჟან-პოლ პოპელმა, რომელმაც დისტანცია 2:43.35-ში დაფარა.

მეორე ეტაპზე გამარჯვება მოიპოვა პორტუგალიელმა აკასიუ და სილვამ. 132 კილომეტრი მან 3:32.38-ში დაფარა. ასეთივე შედეგი ჰქონდათ მეორე და მესამე ადგილებზე გასულ ლუის ერერას (კოლუმბია) და ტონი რომინგერს (შვეიცარია). ორი ეტაპის შემდეგ ლიდერობა ხელთ იგდო და სილვამ.

# ბრალი დასდეს

**კოლუმბიის** პრესა ბრალს სდებს ესპანელ ველოსიპედისტს პედრო დელგადოს იმაში, რომ მან „ესპანეთის ტურში“ გაიმარჯვა საბჭოთა ველოსიპედისტის ივან ივანოვის მხარდაჭერითა და აქტიური დახმარებით, რისთვისაც ამ უკანასკნელს 2500 დოლარი გადასცა.

კოლუმბიის ტელევიზიამ აჩვენა ეპიზოდი, რომელშიც ბოლო ეტაპის დაწყების წინ დელგადო რაღაც კონვერტს გადასცემს ივანოვს. კომენტატორის განცხადებით ამ კონვერტში იდო ზემოხსენებული 2500 დოლარი (როგორც ცნობილია, ამ მრავალდღიან ველორბოლაში კოლუმბიელმა ფაბიო პარამ მეორე ადგილი დაიკავა. დელგადოს იგი 35 წამით ჩამორჩა. ბრალდების მთავარი საბაბი სწორედ ეს გახლავთ).

დელგადომ კოლუმბიის ტელევიზიის განცხადებას მტკნარი სიცრუე უწოდა: „ასეთი გარიგება აზრად რომ მომსვლოდა რატომ გადავცემდი ფულს ივანოვს ტელეობიექტივის წინ და უამრავი ფოტოკორესპონდენტის თანდასწრებით? ნუთუ კოლუმბიელები ფიქრობენ, რომ საამისოდ სხვა დრო და ადგილს ვერ მოვნახავდი?“

**ჩვენი მისამართი:**
**წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,**

**რედაქციის ტელეფონები:**
**წერილების განყოფილება — 93-97-55, ხაზდივნი — 93-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53, „მერანი“ — 93-97-26, „შართვე“ — 93-97-27.**

**ჩვენი ინდექსი 66435**

**საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.**

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20    უე 07174